

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყვარლის სარდაფი“ შემდგომში საწარმო ჩამოყალიბდა 2008 წლის 10 აგვისტოს. იურიდიული მისამართი: ყვარლის რაიონი სოფ. ჭიკაძე.

ფაქტიური მისამართი ყვარლის რაიონი, სოფელი ახალსოფელი.

კომპანიის ძირითად მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.

საწარმოს ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი

საწარმოს წილის მფლობელები არიან:

ონისე ღვალაძე (პ/ნ 45001000698) - 45%;

ნინო ბარათაშვილი (პ/ნ 010001060828) - 55%.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ყვარლის სარდაფის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების წარმოება და მათი საცალო საბითუმო რეალიზაცია ადგილობრივ და სხვადასხვა საექსპორტო ბაზრებზე. საწარმოს დაარსების თავდაპირველივე მიზანი იყო შექმნილიყო ევროპული სტანდარტების მეღვინეობის საწარმო, რომელიც დაამზადებდა უმაღლესი ხარისხის ღვინოებს და ის გათვლილი იყო ასი ათასი ბოთლი ღვინის წარმოებაზე. საწარმომ 2008 წლიდან დღემდე გაიარა განვითარების გრძელი და რთული გზა. ღვინის მაღალი ხარისხის, სტაბილურობისა და პერსპექტიული განვითარების სანდოობის გამო ორგანიზაციამ მოიპოვა დიდი ნდობა მომხმარებლებსა და პარტნიორებს შორის. კომპანია ყოველწლიურად ვითარდება, საწარმო აღჭურვილია ევროპული მანქანა დანადგარებითა და მოწყობილობებით. ყველა პროცესი დაწყებული ყურძნის მიღებიდან ბოთლში ჩამოსხმამდე მიმდინარეობს თანამედროვე ევროპული მოთხოვნების შესაბამისად. შპს „ყვარლის სარდაფს“ უკავია მნიშვნელოვანი ადგილი კონკურენტებს შორის, რაც აიხსნება წარმოებული პროდუქციის ნაირსახეობისა და რეალიზაციის შედეგებით. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით და მომხმარებლისთვის მისაღები ფასით. კომპანია 2007 წლიდან საკუთარი სავაჭრო ნიშნით აწარმოებს და ყიდის მრავალი დასახელების მათ შორის ადგილწარმოშობის ღვინოებს. ასორტიმენტში შედის ნახევრად ტკბილი, ნახევრად მშრალი და მშრალი ღვინოები, ისეთი როგორებიცაა ქინძმარაული, ხვანჭკარა, ალექსანდროული, ტვიში, ახაშენი, მუკუზანი, წინანდალი, რქაწითელი, ალაზნის ველი და სხვა ღვინის სახეობები. შპს „ყვარლის სარდაფმა“ თავის სტრატეგიულ მიზნად დაისახა მაღალი ხარისხის პრემიალური ღვინოების წარმოება, უკვე დამზადდა პრემიალური ღვინოების ხაზი, რომელშიც შედის უმაღლესი ხარისხის ღვინოები.

შპს „ყვარლის სარდაფი“ ასევე აწარმოებს სხვადასხვა დასახელების და სხვადასხვა დამკველების ბრენდებს/კონიაკებს ისეთი როგორიცაა კოლხიდა, კვარელი სელარი, აზნაური, კაზბეკ პიკ, კოლხიდა, ვერტნი ტბილისი, კახეტინსკი კონიაკ, და სხვა. საწარმოს ღვინოები და ბრენდები იყიდება ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალ ქვეყანაში. კომპანიისთვის მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენს რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ისრაელი, პოლონეთი და სხვა მაგრამ ორგანიზაციის სტრატეგიული ამოცანაა გაყიდვების მკიდევ უფრო მეტი დივერსიფიკაცია. შპს „ყვარლის სარდაფის“ გაყიდვები ყოველწლიურად იზრდება გაიზარდა გაყიდვების რაოდენობა წინა 2018 წელთან შედარებითაც. საწარმოსთვის 2019 წელი წარმატებული იყო (ისევე როგორც წინა წლები). საწარმომ რომელიც შეიქმნა წელიწადში ასი ათასი ბოთლის წარმადობის გეგმით, 2019 წელს გაყიდა რამოდენიმე მილიონი ბოთლი და ეს მაჩვენებლები კიდევ იზრდება.

აღნიშნული შედეგი მიღწეული იქნა პროდუქციის ხარისხით, მომხმარებლისთვის მისაღები ფასით, დანახარჯთა ოფტიმიზაციით და მენეჯმენტის მიერ სწორედ გადადგმული ნაბიჯების შედეგად.

ფინანსური მიმოხილვა

2019 წელს საერთო შემოსავალმა შეადგინა 26,256,962 ლარი, რაც 13.5%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. შემოსავლის ზრდა უმეტეს წილად განპირობებული იყო რუსეთის და ბელორუსის ბაზრებზე რეალიზაციების ზრდით.

კომპანიის მოგებამ შეადგინა 8,563,242 ლარი.

წინა წელთან შედარებით გაიზარდა 489,123 ლარით.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 3 362 495 ლარის ინვესტიცია სხვადასხვა ძირითად საშუალებებში,

2018 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 2 205 042 ლარს.

მარაგების ნაშთმა 31/12/2019 რიცხვის მონაცემებით შეადგინა 8 095 957 ლარი

შ.პ.ს „ყვარლის სარდაფი“-ს ბალანსზე რიცხული უძრავი და მოძრავი ქონების საბალანსო ღირებულებამ 31/12/2019-ის მონაცემებით შეადგინა 11 933 688 ლარი

საწარმოს 2019 წლის გაყიდვების შედარება 2018 წლის ანალოგიურ მონაცემებთან

2019 წელს რეალიზებულმა პროდუქციამ ექსპორტზე შეადგინა 26 024 549.63 ლარი;
2018 წელს - 22 727 410.90 ლარი.

2019 წელს ექსპორტზე გატანილი პროდუქციის 76% პროცენტს შეადგენდა რუსეთის ბაზარი დანარჩენი 24% მოდის აზიისა და ევროპის ბაზარზე.

2018 წელს ექსპორტზე გატანილი პროდუქციის 85% პროცენტს შეადგენდა რუსეთის ბაზარი დანარჩენი 15% მოდის აზიისა და ევროპის ბაზარზე.

2019 წელს ღვინის რეალიზებული პროდუქციის თანხა შეადგენდა 19 044 938.95 ლარს, ხოლო გაყიდული ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა შეადგენს - 3 289 440 ლარს.

2018 წელს ღვინის რეალიზებული პროდუქციის თანხა შეადგენდა 16 983 012.98 ლარს, ხოლო გაყიდული ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა შეადგენდა 3 368 434.00 ლარს.

2018 წელთან შედარებით 2019 წლს ღვინის საექსპორტო გაყიდვები გაიზარდა 12.14%-ით.


2019 წელს კონიაკის რეალიზებული პროდუქციის თანხა შეადგენს 6 215 829.85 ლარს, ხოლო გაყიდული ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა შეადგენს 889 035.00 ლარს.

2018 წელს კონიაკის რეალიზებული პროდუქციის თანხა შეადგენს 3 593 183.09 ლარს, ხოლო გაყიდული ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა შეადგენს 575 966.00 ლარს.

2018 წელთან შედარებით 2019 წლს კონიაკის საექსპორტო გაყიდვები გაიზარდა 72.99%

–შპს „ყვარლის სარდაფის“ მოგების მარჟა 2018 წლისთვის შეადგენდა 30 % ხოლო 2019 წლისთვის შეადგინა 35%.

შპს „ყვარლის სარდაფის“ შემოსავლები ნაწილდება შემდეგნაირად: ის აწარმოებს ღვინოს, კონიაკის ბრენდს, ჭაჭას.



ბაზრის მიმოხილვა

2019 წელი ქართული მეღვინეობისათვის წარმატებული აღმოჩნდა. ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის ზრდის პარალელურად იზრდება ღვინის მარნების რაოდენობა, ვენახების ფართობები და შესაბამისად ინდუსტრიულად გადამუშავებული ყურძნის მოცულობა, რაც საბოლოო ჯამში მეღვინეობის დარგში პირდაპირ და ირიბად დასაქმებული ადამიანების შემოსავლებზე დადებითად აისახება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობასთან მიმართებაში, გაცილებით მეტად იზრდება ღვინის რეალიზებით მიღებული შემოსავლები. ეს მიანიშნებს, რომ მსოფლიოს ბაზრებზე იზრდება ქართული ღვინის საექსპორტო ფასი. ამას განაპირობებს ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესება, რასაც ერთხმად აღნიშნავენ ღვინის საერთაშორისო ექსპერტები და რაც მიანიშნებს, რომ ქართული ღვინო თანდათან მყარად იკავებს ადგილს პრემიუმ სეგმენტში.

2019 წელს ქართული ღვინო მრავალ საერთაშორისო გამოფენასა და 200-მდე დეგუსტაციაზე იყო წარმოდგენილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებში. კერძო სექტორთან შეთანხმებით შერჩეულ სტრატეგიულ ბაზრებზე, გაგრძელდა აქტივობები ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისა და ამ ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით. ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციები აღნიშნულ სტრატეგიულ ბაზრებზე წლის განმავლობაში სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებას ახორციელებდნენ. ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზრებია: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, პოლონეთი, იაპონია, სადაც ექსპორტი და ქართული ღვინის ცნობადობა წლიდან წლამდე იზრდება.

COVID-19 -ის აფეთქება

COVID-19-ის აფეთქებამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, რამაც საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დადგენილების მიხედვით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვია. დადგენილების მიხედვით საგანგებო მდგომარეობა გრძელდებოდა 2020 წლის 21 აპრილამდე, რაც შემდგომ იქნა გახანგრძლივებული 2020 წლის 22 მაისამდე. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობს, რომ აღნიშნულმა პრობლემამ ხელი არ შეუშალოს ბიზნესის განვითარებას.

განვითარების გეგმა

რუსეთის წილმა შპს „ყვარლის სარდაფის“ 2019 წლის ღვინის ექსპორტში 76% შეადგინა, რამაც „ყვარლის სარდაფი“-სთვის ერთ ბაზარზე დამოკიდებულების რისკი გაზარდა. მიუხედავად იმისა რომ რუსეთის ბაზრის წილი საერთო გაყიდვებში გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, საწარმოში დაგეგმილია და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა როგორც გამოშვებული პროდუქციის, ასევე სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით, დამზადდა სხვადასხვა ქვეყნების საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი ღვინო და საბრენდე პროდუქტები, დამყარდა ურთიერთობები, მიღწეულია შეთანხმებები ამერიკულ კომპანიებთან და უახლოეს მომავალში იგეგმება გაყიდვები შეერთებულ შტატებში.

-საწარმოს დამფუძნებლება შეიმუშავეს გეგმა რომლის მიხედვითაც კომპანია განახორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ვენახების გაშენებაში, საწარმოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და გადაიარაღებაში, რაც მოხდება საწარმოს მიერ გამომუშავებული საკუთარი სახსრებით და ასევე საბანკო სესხებით.

ამ გეგმიდან გამომდინარე 2019 წლიდან შპს „ყვარლის სარდაფი“ გეგმავს მევენახეობის მიმართულებით განვითარებას და ქინძმარაულის მიკრო ზონაში გააშენებს ვენახებს საწყის ეტაპზე 20 ჰექტარ მიწის ფართობზე. ამისათვის სავენახე ფართობი უკვე შეძენილია, რაშიც განხორციელებულია 1,254,200 ლარის ინვესტიცია. პირველ ეტაპზე ძირითადად საფერავის ჯიშის ვაზი გაშენდება, რაშიც საწარმო მილიონნახევარი ლარის ინვესტირებას განახორციელებს. საკუთარ ვენახებში მიღებული მოსავალი შეამცირებს საწარმოს მიერ წარმოებულ პროდუქციის თვითღირებულებას და საბაზრო ფასზე დამოკიდებულებას, გაზრდის ღვინის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის ხარისხს, ასევე შემცირდება მის მიერ სესხის მოთხოვნა რთველზე საბრუნავი საშუალებისთვის. აღნიშნული ქმედებით გაიზრდება მომგებიანობის შესაძლებლობა, რაც მეტად კონკურენტულს გახდის საწარმოს მომდევნო წლების განმავლობაში. შპს „ყვარლის სარდაფი“ გეგმავს კიდევ განაგრძოს ვენახების გაშენება, თუმცა ამ ეტაპზე ასევე მოახდენს დამატებითი ყურძნის შესყიდვას მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

-საკუთარი აქციების შესახებ მოკლე ინფორმაცია –

წარმოებული კვლევების საფუძველზე საწარმოო ანალიზი

საწარმოს მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების შეფასებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს ამ შეფასების შედეგები:

ძლიერი მხარეები

- გამართული საწარმოო სტრუქტურა;
- წარმოების მზარდი მაშტაბი;
- პროდუქციის მაღალი ხარისხი და დივერსიფიცირება;
- სწორი ფასდადების სტრატეგია;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება.

შესაძლებლობები

- ევროპულ, აზიურ და ამერიკის ბაზრებზე ზრდის შესაძლებლობა;
- მომგებიანობის გაზრდა საკუთარი ვენახების გაშენების მეშვეობით;
- ადგილობრივი გაყიდვების ზრდა;
- პროდუქციის კიდევ უფრო მეტი დივერსიფიკაცია.

საფრთხეები

- რუსეთთან პოლიტიკური დაძაბულობა და ემბარგო
- რეგიონის ეკონომიკური პრობლემები;
- სავალუტო და სხვა გლობალური რისკები;
- ძირითად საექსპორტო ბაზრებზე რეგულაციებით ალკოჰოლის მოხმარების ან იმპორტის შეზღუდვა;

სუსტი მხარეები

- რუსეთის და პოსტ საბჭოთა ბაზრებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი
- ბაზრების და პროდუქციის არადაამაკმაყოფილებელი დივერსიფიკაცია.

ორგანიზაციული სტრუქტურა

2019 წლის განმავლობაში შპს „ყვარლის სარდაფში“ საშუალოდ 85 ადამიანი იყო დასაქმებული. საწარმოში მკაცრად არის განსაზღვრული საწარმოო სექტორების მიხედვით შესაბამისი ფუნქციები, ვალდებულებები, დაქვემდებარების და სამოქმედო წესები, რაც აადვილებს გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებას, მათ დროულ შესრულებას და ჯამში საწარმოს ხარისხიან ფუნქციონირებას. მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- 1) ბუღალტერია
- 2) კომერციული (შესყიდვები, გაყიდვები) განყოფილება;
- 3) პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური განყოფილება (მელვინეობა ლაბორატორია);
- 4) ტექნიკური განყოფილება;
- 5) ჩამოსხმისა და მზა ნაწარმის განყოფილება
- 6) ადმინისტრაციული განყოფილება;

საწარმოს წარმატება დამოკიდებულია პროფესიული, კვალიფიციური და კომპეტენტური პროფესიონალებით დაკომპლექტებულ გუნდზე, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. კომპანია არ ჩერდება და არის მუდმივად ახლის ძიებაში. კომპანია აგზავნის კომპეტენტურ თანამშრომლებს სხვადასხვა ქვეყნებში გამოფენებზე მონაწილეობის მისაღებად, ახალი საბაზრო მოთხოვნების გასაცნობად და ცოდნის გასაზიარებლად. საწარმო ახალი თანამშრომლების შერჩევისას არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. საწარმოს მენეჯმენტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს საწარმოში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. მმართველი მენეჯმენტი სისტემატიურად არის ჩართული პროფესიული კადრების ძიებაში, ცდილობს მათი საჭიროებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, პროგრესისა და ერთგულების წახალისების მიზნით. საწარმოს მენეჯმენტს ესმის ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და საჭიროება. მათ მიერ ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები იმისათვის, რომ ყველას შევუქმნათ თანაბარი სამუშაო პირობები, არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, აღნიშნული პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და პატივისცემით.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს. შპს „ყვარლის სარდაფი“ ცდილობს აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო

და ჯანსაღი გარემო. კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტრენინგები, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კორუფციასთან ბრძოლა

საწარმოს აქვს მკაცრი და შეურიგებელი მიდგომა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. შეძენისა და რეალიზაციის აღიარება ხდება ელექტრონული ზედნადებების, საგადასახადო ანგარიშფაქტურების საფუძველზე. ხოლო ექსპორტის აღიარება, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ სხვადასხვა ქვეყნებში ხდება საბაჟო დეკლარაციებით. საწარმოს გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა

რისკები და მათი მართვის მექანიზმი

რისკების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

-საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკს, მაგრამ საწარმოს საკრედიტო ვალდებულებები არის იმდენად უმნიშვნელო მის ფინანსურ და საწარმოო შესაძლებლობებთან შედარებით რომ 2019 წლის მდგომარეობით საწარმოსთვის საკრედიტო რისკები ფაქტობრივად არ არსებობს. კომპანია თავის საწარმოს ყოველდღიურ და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ხარჯებს ძირითადად და მნიშვნელოვანწილად საკუთარი ფინანსური საშუალებებით ახორციელებს, სამომავლოდ კი გეგმავს საკრედიტო საჭიროების შემთხვევაში საკრედიტო ვალდებულებები განისაზღვროს ლარში, რაც გასული პერიოდის სავალუტო კურსის ანალიზიდან გამომდინარე შეამცირებს საწარმოსთვის არასასურველ რისკებს გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს შემოსავლების სახელშეკრულებო პირობები დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, კერძოდ აშშ დოლარში. კომპანიის მიზანია ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების დონის შენარჩუნება ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატება ფინანსური ვალდებულებების ფულადი სახსრების მოსალოდნელ გადინებას. რისკების შეფასების ჭრილში ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება გამორიცხავს ნებისმიერი მნიშვნელოვანი სახის გავლენას საწარმოს გაყიდვების, შესყიდვების სიდიდეებზე და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

-ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის

მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ჩვეულებრივ, კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო ოდენობით მოთხოვნამდე ფულადი სახსრები, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებების დასაკმაყოფილებლად. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში პროგნოზირება შეუძლებელია.

-საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საწარმოს შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის გათვლა, გათვალისწინება, კონტროლი და მათი უარყოფითი ზეგავლენის შემცირება საწარმოს საქმიანობის შედეგებზე. საწარმო მუდმივად ახორციელებს საბაზრო რისკების შეფასებას და ითვალისწინებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

-საწარმოს წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფისა და მისდამი ნდობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით აქვს მკაცრი და შეურიგებელი მიდგომა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. საწარმოს გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

2019 წლის მონაცემებით შპს „ყვარლის სარდაფი“ არის მომგებიანი, ფინანსურად მდგრადი, ორგანიზაციულად მოწესრიგებული, კვალიფიციური კადრით დაკომპლექტებული სტაბილურად მზარდი საწარმო, რომელიც ორიენტირებულია მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაზე, ასორტიმენტის ზრდაზე და სარეალიაციო ბაზრების დივერსიფიკაციაზე. ის სწრაფად და ადეკვატურად პასუხობს ბაზრის, ასევე კანონმდებლობით მათ შორის საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მუდმივად აფასებს სავარაუდო რისკებს და დგავს ნაბიჯებს მათი არასასურველი ზეგავლენის შემცირების და თავიდან აცილებისთვის. ახორციელებს და მომავალშიც გეგმავს საწარმოს გადართმობას, განვითარებას შრომის ნაყოფიერების, შრომის უსაფრთხოების, სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და მეტი პროგრესის მიღწევის მიზნით.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ს/კ 241580972

დირექტორი: ი.ილიაშვილი



შპს „ყვარლის სარდაფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს
 დასრულებული წლისთვის

		2019	2018
	შენიშვნა	ლარი	ლარი
შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან	4	26,256,962	22,830,362
გაწეული მომსახურების ხარჯი	5	(11,853,594)	(9,907,855)
საერთო მოგება		14,403,368	12,922,507
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(3,674,040)	(2,684,039)
ცვეთის ხარჯები	8	(106,269)	(86,381)
რისკიანი მოთხოვნების ხარჯები	11	(1,284,724)	(129,990)
საოპერაციო მოგება		9,338,335	10,022,097
საპროცენტო შემოსავლები/(ხარჯები)	16	187,770	(13,600)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	7	199,591	308,406
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	15	1,280,172	493,228
მოგება დაბეგრამდე		11,005,867	10,810,131
მიმდინარე მოგების გადასახადი			
წლის მოგება		11,005,867	10,810,131
სრული შემოსავალი		11,005,867	10,810,131
სხვა სრული შემოსავალი			
სულ სრული შემოსავალი		11,005,867	10,810,131

დირექტორი: ილია ილიაშვილი

28 სექტემბერი, 2020



მთავარი ბუღალტერი: ქეთიკო გაგნიძე

28 სექტემბერი, 2020

შპს „ყვარლის სარდაფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31 დეკემბერი 2019 ლარი	31 დეკემბერი 2018 ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	10,182,867	7,288,911
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,182,867	7,288,911
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული დავალიანება	11	9,773,804	4,492,679
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	8,100,165	8,262,947
სხვა აქტივები		541,635	370,722
გაცემული ავანსები		1,027,371	846,680
ფული და ფულის ექვივალენტები	12	7,712,307	6,882,086
სულ მიმდინარე აქტივები		27,155,282	20,855,114
სულ აქტივები		37,338,149	28,144,025
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	50,000	50,000
გაუნაწილებელი მოგება		31,389,081	20,383,214
სულ კაპიტალი		31,439,081	20,433,214
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16	177,197	929,346
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		177,197	929,346
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	14	1,857,390	1,355,327
მიღებული ავანსები		80,421	355,399
გადასახდელი დივიდენდი		3,784,060	5,070,739
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		5,721,871	6,781,465
სულ ვალდებულებები		5,899,068	7,710,811
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		37,338,149	28,144,025

დირექტორი: ილია ილიაშვილი

28 სექტემბერი, 2020



მთავარი ბუღალტერი: ევდოკიმო გაგნიძე

28 სექტემბერი, 2020

შპს „ყვარლის სარდაფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ კაპიტალი ლარი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის		50,000	15,259,458	15,309,458
საწესდებო კაპიტალში შენატანი წლის მოგება		-	10,810,131	10,810,131
გადახდილი დივიდენდი		-	(5,686,375)	(5,686,375)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	13	50,000	20,383,214	20,433,214
საწესდებო კაპიტალში შენატანი წლის მოგება			11,005,867	11,005,867
გადახდილი დივიდენდი				
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	13	50,000	31,389,081	31,439,081

დირექტორი: ილია ილიაშვილი

28 სექტემბერი, 2020



მთავარი ბუღალტერი: ქეთიკო გაგნიძე

28 სექტემბერი, 2020

შპს „ყვარლის სარდაფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
 დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
მოგება დაბეგვრამდე		11,005,867	10,810,131
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	606,171	431,901
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	11	1,875,282	590,558
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების	15	(1,280,172)	493,228
გადაფასებიდან			
საპროცენტო ხარჯი/(შემოსავალი)	17	(187,770)	13,600
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		16,539	248,464
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		12,035,917	852,622
კლება/(ზრდა) დებიტორულ დავალიანებაში	11	(6,975,926)	(2,770,376)
კლება/(ზრდა) გადახდილ ავანსებში	10	(180,691)	(48,454)
კლება/(ზრდა) სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	9	162,782	655,585
ზრდა/(კლება) კრედიტორულ დავალიანებაში	15	797,226	(192,319)
კლება/(ზრდა) სხვა აქტივებში		(170,913)	313,244
ზრდა/(კლება) კრედიტორულ დავალიანებაში		(274,978)	23,771
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		5,393,417	10,569,333
მიღებული პროცენტები/(გადახდილი პროცენტები)	17	187,770	(13,600)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		5,581,187	10,555,733
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(3,516,666)	(2,547,989)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	7	-	27,114
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,516,666)	(2,520,875)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
წმინდა (კლება)/ ზრდა სასესხო ვალდებულებების	17	(752,149)	(2,586,845)
გადახდილი დივიდენდი	14	(1,286,679)	(615,636)
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,038,828)	(3,202,481)
ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში			
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	12	6,882,086	2,335,957
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		25,693	4,832,377
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		804,528	(286,248)
31 დეკემბრის მდგომარეობით	12	7,712,307	6,882,086

დირექტორი/ილია ილიაშვილი
 28 სექტემბერი, 2020



მთავარი ბუღალტერი: ეკატერინე გაგნიძე
 28 სექტემბერი, 2020



ქ. თბილისი

30. სექტემბერი 2020 წ.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ყვარლის სარდაფი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ყვარლის სარდაფი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველზე მოცემული ასპექტებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ჩვენ ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ალტერნატიული პროცედურების ჩატარების შემდეგ ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2018 წლის ბოლოს არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა რამდენად საჭიროებდა კორექტირებას აუდიტებული პერიოდის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების, ფულადი ნაკადების და კაპიტალის მოძრაობის უწყისი. 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება იყო მოდიფიცირებული აღნიშნული შეუსაბამობის გამო და ჩვენი მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყის ნაშთზე არის მოდიფიცირებული.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური



ქ. თბილისი

„30“ სექტემბერი 2020წ.

ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია 2019 წლის მმართველობის ანგარიშში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2019 წლის მმართველობის ანგარიშში.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია, თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.



ქ. თბილისი

„30“ სექტემბერი 2020წ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას. ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის



ქ. თბილისი

„30“ სექტემბერი 2020წ.

- შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები ი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

28 სექტემბერი 2020

აუდიტის და ბიზნეს სამართლის საერთაშორისო კორპორაციის სახელით
გარიგების მართლობის გრიგოლ ხვედელიძე



მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყვარლის სარდაფი“ შემდგომში საწარმო ჩამოყალიბდა 2008 წლის 10 აგვისტოს. იურიდიული მისამართი: ყვარლის რაიონი სოფ. ჭიკაანი.

ფაქტიური მისამართი ყვარლის რაიონი, სოფელი ახალსოფელი.

კომპანიის ძირითად მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.

საწარმოს ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი

საწარმოს წილის მფლობელები არიან:

ონისე ღვალაძე (პ/ნ 45001000698) - 45%;

ნინო ბარათაშვილი (პ/ნ 010001060828) - 55%.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ყვარლის სარდაფის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების წარმოება და მათი საცალო საბითუმო რეალიზაცია ადგილობრივ და სხვადასხვა საექსპორტო ბაზრებზე. საწარმოს დაარსების თავდაპირველივე მიზანი იყო შექმნილიყო ევროპული სტანდარტების მეღვინეობის საწარმო, რომელიც დაამზადებდა უმაღლესი ხარისხის ღვინოებს და ის გათვლილი იყო ასი ათასი ბოთლი ღვინის წარმოებაზე. საწარმომ 2008 წლიდან დღემდე გაიარა განვითარების გრძელი და რთული გზა. ღვინის მაღალი ხარისხის, სტაბილურობისა და პერსპექტიული განვითარების სანდოობის გამო ორგანიზაციამ მოიპოვა დიდი ნდობა მომხმარებლებსა და პარტნიორებს შორის. კომპანია ყოველწლიურად ვითარდება, საწარმო აღჭურვილია ევროპული მანქანა დანადგარებითა და მოწყობილობებით. ყველა პროცესი დაწყებული ყურძნის მიღებიდან ბოთლში ჩამოსხმამდე მიმდინარეობს თანამედროვე ევროპული მოთხოვნების შესაბამისად. შპს „ყვარლის სარდაფს“ უკავია მნიშვნელოვანი ადგილი კონკურენტებს შორის, რაც აიხსნება წარმოებული პროდუქციის ნაირსახეობისა და რეალიზაციის შედეგებით. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით და მომხმარებლისთვის მისაღები ფასით. კომპანია 2007 წლიდან საკუთარი სავაჭრო ნიშნით აწარმოებს და ყიდის მრავალი დასახელების მათ შორის ადგილწარმოშობის ღვინოებს. ასორტიმენტში შედის ნახევრად ტკბილი, ნახევრად მშრალი და მშრალი ღვინოები, ისეთი როგორებიცაა ქინძმარაული, ხვანჭკარა, ალექსანდროული, ტვიში, ახაშენი, მუკუზანი, წინანდალი, რქაწითელი, ალაზნის ველი და სხვა ღვინის სახეობები. შპს „ყვარლის სარდაფმა“ თავის სტრატეგიულ მიზნად დაისახა მაღალი ხარისხის პრემიალური ღვინოების წარმოება, უკვე დამზადდა პრემიალური ღვინოების ხაზი, რომელშიც შედის უმაღლესი ხარისხის ღვინოები.

შპს „ყვარლის სარდაფი“ ასევე აწარმოებს სხვადასხვა დასახელების და სხვადასხვა დამკველების ბრენდებს/კონიაკებს ისეთი როგორიცაა კოლხიდა, კვარელი სელარი, აზნაური, კაზბეკ პიკ, კოლხიდა, ვეჩერნი ტბილისი, კახეტინსკი კონიაკ, და სხვა. საწარმოს ღვინოები და ბრენდები იყიდება ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალ ქვეყანაში. კომპანიისთვის მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენს რუსეთი, ბელორუსია,

ყაზახეთი, ისრაელი, პოლონეთი და სხვა მაგრამ ორგანიზაციის სტრატეგიული ამოცანაა გაყიდვების მკიდევ უფრო მეტი დივერსიფიკაცია. შპს „ყვარლის სარდაფის“ გაყიდვები ყოველწლიურად იზრდება გაიზარდა გაყიდვების რაოდენობა წინა 2018 წელთან შედარებითაც. საწარმოსთვის 2019 წელი წარმატებული იყო (ისევე როგორც წინა წლები). საწარმომ რომელიც შეიქმნა წელიწადში ასი ათასი ბოთლის წარმადობის გეგმით, 2019 წელს გაყიდა რამოდენიმე მილიონი ბოთლი და ეს მაჩვენებლები კიდევ იზრდება.

აღნიშნული შედეგი მიღწეული იქნა პროდუქციის ხარისხით, მომხმარებლისთვის მისაღები ფასით, დანახარჯთა ოფტიმიზაციით და მენეჯმენტის მიერ სწორედ გადადგმული ნაბიჯების შედეგად.

ფინანსური მიმოხილვა

2019 წელს საერთო შემოსავალმა შეადგინა 26,256,962 ლარი, რაც 13.5%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. შემოსავლის ზრდა უმეტეს წილად განპირობებული იყო რუსეთის და ბელორუსის ბაზრებზე რეალიზაციების ზრდით.

კომპანიის მოგებამ შეადგინა 8,563,242 ლარი.

წინა წელთან შედარებით გაიზარდა 489,123 ლარით.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 3 362 495 ლარის ინვესტიცია სხვადასხვა ძირითად საშუალებებში,

2018 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 2 205 042 ლარს.

მარაგების ნაშთმა 31/12/2019 რიცხვის მონაცემებით შეადგინა 8 095 957 ლარი

შ.პ.ს „ყვარლის სარდაფი“-ს ბალანსზე რიცხული უძრავი და მოძრავი ქონების საბალანსო ღირებულებამ 31/12/2019-ის მონაცემებით შეადგინა 11 933 688 ლარი

საწარმოს 2019 წლის გაყიდვების შედარება 2018 წლის ანალოგიურ მონაცემებთან

2019 წელს რეალიზებულმა პროდუქციამ ექსპორტზე შეადგინა **26 024 549.63** ლარი;
2018 წელს - **22 727 410.90** ლარი.

2019 წელს ექსპორტზე გატანილი პროდუქციის **76%** პროცენტს შეადგენდა რუსეთის ბაზარი დანარჩენი **24%** მოდის აზიისა და ევროპის ბაზარზე.

2018 წელს ექსპორტზე გატანილი პროდუქციის **85%** პროცენტს შეადგენდა რუსეთის ბაზარი დანარჩენი **15%** მოდის აზიისა და ევროპის ბაზარზე.

2019 წელს **ღვინის** რეალიზებული პროდუქციის თანხა შეადგენდა **19 044 938.95** ლარს, ხოლო გაყიდული ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა შეადგენს - **3 289 440** ლარს.

2018 წელს **ღვინის** რეალიზებული პროდუქციის თანხა შეადგენდა **16 983 012.98** ლარს, ხოლო გაყიდული ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა შეადგენდა **3 368 434.00** ლარს.

2018 წელთან შედარებით 2019 წლის **ღვინის** საექსპორტო გაყიდვები გაიზარდა **12.14%**-ით.

2019 წელს **კონიაკის** რეალიზებული პროდუქციის თანხა შეადგენს **6 215 829.85** ლარს, ხოლო გაყიდული ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა შეადგენს **889 035.00** ლარს.

2018 წელს **კონიაკის** რეალიზებული პროდუქციის თანხა შეადგენს **3 593 183.09** ლარს, ხოლო გაყიდული ჩამოსხმული ბოთლების რაოდენობა შეადგენს **575 966.00** ლარს.

2018 წელთან შედარებით 2019 წლს კონიაკის საექსპორტო გაყიდვები გაიზარდა 72.99%

–შპს „ყვარლის სარდაფის“ მოგების მარჟა 2018 წლისთვის შეადგენდა 30 % ხოლო 2019 წლისთვის შეადგინა 35%.

შპს „ყვარლის სარდაფის“ შემოსავლები ნაწილდება შემდეგნაირად: ის აწარმოებს ღვინოს, კონიაკის ბრენდს, ჭაჭას.

ბაზრის მიმოხილვა

2019 წელი ქართული მეღვინეობისათვის წარმატებული აღმოჩნდა. ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის ზრდის პარალელურად იზრდება ღვინის მარნების რაოდენობა, ვენახების ფართობები და შესაბამისად ინდუსტრიულად გადამუშავებული ყურძნის მოცულობა, რაც საბოლოო ჯამში მეღვინეობის დარგში პირდაპირ და ირიბად დასაქმებული ადამიანების შემოსავლებზე დადებითად აისახება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობასთან მიმართებაში, გაცილებით მეტად იზრდება ღვინის რეალიზებით მიღებული შემოსავლები. ეს მიანიშნებს, რომ მსოფლიოს ბაზრებზე იზრდება ქართული ღვინის საექსპორტო ფასი. ამას განაპირობებს ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესება, რასაც ერთხმად აღნიშნავენ ღვინის საერთაშორისო ექსპერტები და რაც მიანიშნებს, რომ ქართული ღვინო თანდათან მყარად იკავებს ადგილს პრემიუმ სეგმენტში.

2019 წელს ქართული ღვინო მრავალ საერთაშორისო გამოფენასა და 200-მდე დეგუსტაციაზე იყო წარმოდგენილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებში. კერძო სექტორთან შეთანხმებით შერჩეულ სტრატეგიულ ბაზრებზე, გაგრძელდა აქტივობები ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისა და ამ ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით. ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციები აღნიშნულ სტრატეგიულ ბაზრებზე წლის განმავლობაში სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებას ახორციელებდნენ. ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზრებია: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, პოლონეთი, იაპონია, სადაც ექსპორტი და ქართული ღვინის ცნობადობა წლიდან წლამდე იზრდება.

COVID-19 -ის აფეთქება

COVID-19-ის აფეთქებამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, რამაც საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დადგენილების მიხედვით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვია. დადგენილების მიხედვით საგანგებო მდგომარეობა

გრძელდებოდა 2020 წლის 21 აპრილამდე, რაც შემდგომ იქნა გახანგრძლივებული 2020 წლის 22 მაისამდე. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობს, რომ აღნიშნულმა პრობლემამ ხელი არ შეუშალოს ბიზნესის განვითარებას.

განვითარების გეგმა

რუსეთის წილმა შპს „ყვარლის სარდაფის“ 2019 წლის ღვინის ექსპორტში 76% შეადგინა, რამაც „ყვარლის სარდაფი“-სთვის ერთ ბაზარზე დამოკიდებულების რისკი გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ბაზარის წილი საერთო გაყიდვებში გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, საწარმოში დაგეგმილია და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა როგორც გამოშვებული პროდუქციის, ასევე სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით, დამზადდა სხვადასხვა ქვეყნების საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი ღვინო და საბრუნდე პროდუქტები, დამყარდა ურთიერთობები, მიღწეულია შეთანხმებები ამერიკულ კომპანიებთან და უახლოეს მომავალში იგეგმება გაყიდვები შეერთებულ შტატებში.

–საწარმოს დამფუძნებლებმა შეიმუშავეს გეგმა რომლის მიხედვითაც კომპანია განახორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ვენახების გაშენებაში, საწარმოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და გადაიარაღებაში, რაც მოხდება საწარმოს მიერ გამომუშავებული საკუთარი სახსრებით და ასევე საბანკო სესხებით.

ამ გეგმებიდან გამომდინარე 2019 წლიდან შპს „ყვარლის სარდაფი“ გეგმავს მევენახეობის მიმართულებით განვითარებას და ქინძმარაულის მიკრო ზონაში გააშენებს ვენახებს საწყის ეტაპზე 20 ჰექტარ მიწის ფართობზე. ამისათვის სავენახე ფართობი უკვე შეძენილია, რაშიც განხორციელებულია 1,254,200 ლარის ინვესტიცია. პირველ ეტაპზე ძირითადად საფერავის ჯიშის ვაზი გაშენდება, რაშიც საწარმო მილიონნახევარი ლარის ინვესტირებას განახორციელებს. საკუთარ ვენახებში მიღებული მოსავალი შეამცირებს საწარმოს მიერ წარმოებულ პროდუქციის თვითღირებულებას და საბაზრო ფასზე დამოკიდებულებას, გაზრდის ღვინის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის ხარისხს, ასევე შემცირდება მის მიერ სესხის მოთხოვნა რთველზე საბრუნავი საშუალებისთვის. აღნიშნული ქმედებით გაიზრდება მომგებიანობის შესაძლებლობა, რაც მეტად კონკურენტულს გახდის საწარმოს მომდევნო წლების განმავლობაში. შპს „ყვარლის სარდაფი“ გეგმავს კიდევ განაგრძოს ვენახების გაშენება, თუმცა ამ ეტაპზე ასევე მოახდენს დამატებითი ყურძნის შესყიდვას მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

–საკუთარი აქციების შესახებ მოკლე ინფორმაცია –

წარმოებული კვლევების საფუძველზე საწარმოო ანალიზი

საწარმოს მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების შეფასებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს ამ შეფასების შედეგები.

ძლიერი მხარეები

- გამართული საწარმოო სტრუქტურა;
- წარმოების მზარდი მაშტაბი;
- პროდუქციის მაღალი ხარისხი და დივერსიფიცირება;
- სწორი ფასდადების სტრატეგია;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება.

შესაძლებლობები

- ევროპულ, აზიურ და ამერიკის ბაზრებზე ზრდის შესაძლებლობა;
- მომგებიანობის გაზრდა საკუთარი ვენახების გაშენების მეშვეობით;
- ადგილობრივი გაყიდვების ზრდა;
- პროდუქციის კიდევ უფრო მეტი დივერსიფიკაცია.

საფრთხეები

- რუსეთთან პოლიტიკური დაძაბულობა და ემბარგო
- რეგიონის ეკონომიკური პრობლემები;
- სავალუტო და სხვა გლობალური რისკები;
- ძირითად საექსპორტო ბაზრებზე რეგულაციებით ალკოჰოლის მოხმარების ან იმპორტის შეზღუდვა;

სუსტი მხარეები

- რუსეთის და პოსტ საბჭოთა ბაზრებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი
- ბაზრების და პროდუქციის არადაამკაცოფილებლი დივერსიფიკაცია.

ორგანიზაციული სტრუქტურა

2019 წლის განმავლობაში შპს „ყვარლის სარდაფში“ საშუალოდ 85 ადამიანი იყო დასაქმებული. საწარმოში მკაცრად არის განსაზღვრული საწარმოო სექტორების მიხედვით შესაბამისი ფუნქციები, ვალდებულებები, დაქვემდებარების და სამოქმედო წესები, რაც აადვილებს გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებას, მათ დროულ შესრულებას და ჯამში საწარმოს ხარისხიან ფუნქციონირებას. მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- 1) ბუღალტერია
- 2) კომერციული (შესყიდვები, გაყიდვები) განყოფილება;
- 3) პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური განყოფილება (მელვინეობა ლაბორატორია);
- 4) ტექნიკური განყოფილება;
- 5) ჩამოსხმისა და მზა ნაწარმის განყოფილება
- 6) ადმინისტრაციული განყოფილება;

საწარმოს წარმატება დამოკიდებულია პროფესიული, კვალიფიციური და კომპეტენტური

პროფესიონალებით დაკომპლექტებულ გუნდზე, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. კომპანია არ ჩერდება და არის მუდმივად ახლის ძიებაში. კომპანია აგზავნის კომპეტენტურ თანამშრომლებს სხვადასხვა ქვეყნებში გამოფენებზე მონაწილეობის მისაღებად, ახალი საბაზრო მოთხოვნების გასაცნობად და ცოდნის გასაზიარებლად. საწარმო ახალი თანამშრომლების შერჩევისას არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. საწარმოს მენეჯმენტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს საწარმოში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. მმართველი მენეჯმენტი სისტემატიურად არის ჩართული პროფესიული კადრების ძიებაში, ცდილობს მათი საჭიროებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, პროგრესისა და ერთგულების წახალისების მიზნით. საწარმოს მენეჯმენტს ესმის ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და საჭიროება. მათ მიერ ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები იმისათვის, რომ ყველას შევუქმნათ თანაბარი სამუშაო პირობები, არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, აღნიშნული პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და პატივისცემით.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს. შპს „ყვარლის სარდაფი“ ცდილობს აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო. კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტრენინგები, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კორუფციასთან ბრძოლა

საწარმოს აქვს მკაცრი და შეურიგებელი მიდგომა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. შეძენისა და რეალიზაციის აღიარება ხდება ელექტრონული ზედნადებების, საგადასახადო ანგარიშგაქტურების საფუძველზე. ხოლო ექსპორტის აღიარება,

რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ სხვადასხვა ქვეყნებში ხდება საბაჟო დეკლარაციებით. საწარმოს გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა

რისკები და მათი მართვის მექანიზმი

რისკების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

-საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკს, მაგრამ საწარმოს საკრედიტო ვალდებულებები არის იმდენად უმნიშვნელო მის ფინანსურ და საწარმოო შესაძლებლობებთან შედარებით რომ 2019 წლის მდგომარეობით საწარმოსთვის საკრედიტო რისკები ფაქტობრივად არ არსებობს. კომპანია თავის საწარმოს ყოველდღიურ და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ხარჯებს ძირითადად და მნიშვნელოვანწილად საკუთარი ფინანსური საშუალებებით ახორციელებს, სამომავლოდ კი გეგმავს საკრედიტო საჭიროების შემთხვევაში საკრედიტო ვალდებულებები განისაზღვროს ლარში, რაც გასული პერიოდის სავალუტო კურსის ანალიზიდან გამომდინარე შეამცირებს საწარმოსთვის არასასურველ რისკებს გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს შემოსავლების სახელშეკრულებო პირობები დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, კერძოდ აშშ დოლარში. კომპანიის მიზანია ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების დონის შენარჩუნება ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატება ფინანსური ვალდებულებების ფულადი სახსრების მოსალოდნელ გადინებას. რისკების შეფასების ჭრილში ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება გამორიცხავს ნებისმიერი მნიშვნელოვანი სახის გავლენას საწარმოს გაყიდვების, შესყიდვების სიდიდეებზე და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

-ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ჩვეულებრივ, კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო ოდენობით მოთხოვნამდე ფულადი სახსრები, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებების დასაკმაყოფილებლად. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში პროგნოზირება შეუძლებელია.

-საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს

სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საწარმოს შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის გათვლა, გათვალისწინება, კონტროლი და მათი უარყოფითი ზეგავლენის შემცირება საწარმოს საქმიანობის შედეგებზე. საწარმო მუდმივად ახორციელებს საბაზრო რისკების შეფასებას და ითვალისწინებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

-საწარმოს წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფისა და მისდამი ნდობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით აქვს მკაცრი და შეურიგებელი მიდგომა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. საწარმოს გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

2019 წლის მონაცემებით შპს „ყვარლის სარდაფი“ არის მომგებიანი, ფინანსურად მდგრადი, ორგანიზაციულად მოწესრიგებული, კვალიფიციური კადრით დაკომპლექტებული სტაბილურად მზარდი საწარმო, რომელიც ორიენტირებულია მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაზე, ასორტიმენტის ზრდაზე და სარეალიაციო ბაზრების დივერსიფიკაციაზე. ის სწრაფად და ადეკვატურად პასუხობს ბაზრის, ასევე კანონმდებლობით მათ შორის საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მუდმივად აფასებს სავარაუდო რისკებს და დგავს ნაბიჯებს მათი არასასურველი ზეგავლენის შემცირების და თავიდან აცილებისთვის. ახორციელებს და მომავალშიც გეგმავს საწარმოს გადაიარაღებას, განვითარებას შრომის ნაყოფიერების, შრომის უსაფრთხოების, სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და მეტი პროგრესის მიღწევის მიზნით.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ს/კ 241580972

დირექტორი: ი.ილიაშვილი /-----/

ყვარლის სარდაფი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2019

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii-v
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-34

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ყვარლის სარდაფი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ყვარლის სარდაფი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლებში მოცემული ასპექტებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ჩვენ ვერ შევძელით დაგვირგვინებით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ალტერნატიული პროცედურების ჩატარების შემდეგ ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2018 წლის ბოლოს არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა რამდენად საჭიროებდა კორექტირებას აუდიტებული პერიოდის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების, ფულადი ნაკადების და კაპიტალის მოძრაობის უწყისი. 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება იყო მოდიფიცირებული აღნიშნული შეუსაბამობის გამო და ჩვენი მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყის ნაშთზე არის მოდიფიცირებული.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია 2019 წლის მმართველობის ანგარიშში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2019 წლის მმართველობის ანგარიშში.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 სექტემბერი 2020

აუდიტის და ბიზნეს სამართლის საერთაშორისო კორპორაციის სახელით
გარიგების პარტნიორი: გრიგოლ ხვედელიძე

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის**

		2019	2018
	შენიშვნა	ლარი	ლარი
შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან	4	26,256,962	22,830,362
გაწეული მომსახურების ხარჯი	5	(11,853,594)	(9,907,855)
საერთო მოგება		14,403,368	12,922,507
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(3,674,040)	(2,684,039)
ცვეთის ხარჯები	8	(106,269)	(86,381)
რისკიანი მოთხოვნების ხარჯები	11	(1,284,724)	(129,990)
საოპერაციო მოგება		9,338,335	10,022,097
საპროცენტო შემოსავლები/(ხარჯები)	16	187,770	(13,600)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	7	199,591	308,406
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	15	1,280,172	493,228
მოგება დაბეგვრამდე		11,005,867	10,810,131
მიმდინარე მოგების გადასახადი			
წლის მოგება		11,005,867	10,810,131
სრული შემოსავალი		11,005,867	10,810,131
სხვა სრული შემოსავალი			
სულ სრული შემოსავალი		11,005,867	10,810,131

დირექტორი: ილია ილიაშვილი

28 სექტემბერი, 2020

მთავარი ბუღალტერი: ქეთინო გაგნიძე

28 სექტემბერი, 2020

შპს „ყვარლის სარდაფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31 დეკემბერი 2019 ლარი	31 დეკემბერი 2018 ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	10,182,867	7,288,911
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,182,867	7,288,911
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული დავალიანება	11	9,773,804	4,492,679
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	8,100,165	8,262,947
სხვა აქტივები		541,635	370,722
გაცემული ავანსები		1,027,371	846,680
ფული და ფულის ექვივალენტები	12	7,712,307	6,882,086
სულ მიმდინარე აქტივები		27,155,282	20,855,114
სულ აქტივები		37,338,149	28,144,025
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	50,000	50,000
გაუნაწილებელი მოგება		31,389,081	20,383,214
სულ კაპიტალი		31,439,081	20,433,214
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16	177,197	929,346
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		177,197	929,346
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	14	1,857,390	1,355,327
მიღებული ავანსები		80,421	355,399
გადასახდელი დივიდენდი		3,784,060	5,070,739
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		5,721,871	6,781,465
სულ ვალდებულებები		5,899,068	7,710,811
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		37,338,149	28,144,025

დირექტორი: ილია ილიაშვილი

28 სექტემბერი, 2020

მთავარი ბუღალტერი: ქეთინო გაგნიძე

28 სექტემბერი, 2020

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ კაპიტალი ლარი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის		50,000	15,259,458	15,309,458
საწესდებო კაპიტალში შენატანი			-	-
წლის მოგება		-	10,810,131	10,810,131
გადახდილი დივიდენდი		-	(5,686,375)	(5,686,375)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	13	50,000	20,383,214	20,433,214
საწესდებო კაპიტალში შენატანი				
წლის მოგება			11,005,867	11,005,867
გადახდილი დივიდენდი				
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	13	50,000	31,389,081	31,439,081

დირექტორი: ილია ილიაშვილი

28 სექტემბერი, 2020

მთავარი ბუღალტერი: ქეთინო გაგნიძე

28 სექტემბერი, 2020

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
მოგება დაბეგვრამდე		11,005,867	10,810,131
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	606,171	431,901
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	11	1,875,282	590,558
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	15	(1,280,172)	493,228
საპროცენტო ხარჯი/(შემოსავალი)	17	(187,770)	13,600
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		16,539	248,464
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		12,035,917	852,622
კლება /(ზრდა) დებიტორულ დავალიანებაში	11	(6,975,926)	(2,770,376)
კლება /(ზრდა) გადახდილ ავანსებში	10	(180,691)	(48,454)
კლება /(ზრდა) სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	9	162,782	655,585
ზრდა / (კლება) კრედიტორულ დავალიანებაში	15	797,226	(192,319)
კლება /(ზრდა) სხვა აქტივებში		(170,913)	313,244
ზრდა / (კლება) კრედიტორულ დავალიანებაში		(274,978)	23,771
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		5,393,417	10,569,333
მიღებული პროცენტები/(გადახდილი პროცენტები)	17	187,770	(13,600)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		5,581,187	10,555,733
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(3,516,666)	(2,547,989)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	7	-	27,114
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,516,666)	(2,520,875)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
წმინდა (კლება)/ ზრდა სასესხო ვალდებულებების	17	(752,149)	(2,586,845)
გადახდილი დივიდენდი	14	(1,286,679)	(615,636)
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,038,828)	(3,202,481)
ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში			
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	12	6,882,086	2,335,957
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		25,693	4,832,377
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		804,528	(286,248)
31 დეკემბრის მდგომარეობით	12	7,712,307	6,882,086

დირექტორი: ილია ილიაშვილი

28 სექტემბერი, 2020

მთავარი ბუღალტერი: ქეთინო გაგნიძე

28 სექტემბერი, 2020

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

(ა) ორგანიზაციის საქმიანობა

შპს „ყვარლის სარდაფი“ (ს/კ 241580972) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაფუძნდა 2007 წლის 1 აგვისტოს. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ყვარლის რაიონი, ს. ჭიკაძე.

კომპანია ახორციელებს: ღვინის წარმოება ყურძნისაგან და მის შემდგომ რეალიზაციას როგორც ადგილობრივ ისე სხვა ქვეყნებში.

კომპანიაში, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაქმებული იყო 85 თანამშრომელი (2018: 82).

მფლობელებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ონისე ღვალაძე (პ/ნ 45001000698)	45%	45%
ნინო ბარათაშვილი (პ/ნ 10001060828)	55%	55%
სულ	100%	100%

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

3 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ დანერგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი, რომელიც სავალდებულო იყო მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის.

კომპანიას არ დაუწერგავს ახალი და შესწორებული სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის არ იყო სავალდებულო.

ინფორმაცია ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენების შესახებ იხილეთ ქვემოთ:

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფასს 16 იჯარა

კომპანიამ ფასს 16 დანერგა 2019 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული სტანდარტი ცვლის ბასს 17 იჯარას და მეიჯარისათვის აუქმებს საოპერაციო და ფინანსური იჯარების კლასიფიკაციას. მოკლევადიანი იჯარისა და იმ იჯარის გარდა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება აქტივის გამოყენების უფლება და მისი შეფუფსაბამისი საიჯარო ვალდებულება. წრფივი საოპერაციო იჯარის ხარჯი იცვლება აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯით (რომელიც საოპერაციო ხარჯების ნაწილში კლასიფიცირდება) და იჯარის ვალდებულებაზე აღიარებული საპროცენტო ხარჯით (რომელიც ფინანსური ხარჯების ნაწილში კლასიფიცირდება).

იჯარის ადრეული პერიოდებისათვის მასთან დაკავშირებული ხარჯები ფასს 16-ის მიხედვით მეტია წინამორბედ ბასს 17-თან შედარებით, თუმცა EBITDA (მოგება საპროცენტო ხარჯის, მოგების გადასახადისა და ცვეთის ხარჯამდე) უმჯობესდება გამომდინარე იქედან, რომ საოპერაციო ხარჯი ნაცვლდება საპროცენტო ხარჯითა და ცვეთის ხარჯით მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის საპროცენტო ხარჯი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო საქმიანობა, ხოლო იჯარის გადახდები განცალკევებულად განიშარტება საფინანსო საქმიანობაში. სტანდარტი მნიშვნელოვნად არ ცვლის იჯარის აღრიცხვის პრინციპებს მოიჯარისათვის.

დანერგვის გავლენა

ფასს 16-ის დანერგვას არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ცვლილებები ფასს 3-ში „საწარმოს განმარტება“

2018 წლის ოქტომბერში ბასსს-მა ფასს 3-ში „საწარმოთა გაერთიანება“ ცვლილებები შეიტანა საწარმოს განმარტებაში, რათა საწარმოებს დახმარებოდა განესაზღვრათ -წარმოადგენს თუ არა შეძენილი საქმიანობებისა და აქტივების კომპლექსი საწარმოს. ცვლილებებით განმარტებულია საწარმოს მინიმალური მოთხოვნები, ამოღებულია იმის შეფასება, შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს ნაკლული ელემენტების ჩანაცვლება, დამატებულია მითითებები შეძენილი პროცესის არსებობის შეფასებაში საწარმოების დასახმარებლად, დაკონკრეტებულია საწარმოს და პროდუქციის განმარტება და შემოტანილია სამართლიანი ღირებულების კონცენტრაციის ნებაყოფლობითი ტესტი. ცვლილებებს დაერთო ახალი საილუსტრაციო მაგალითები.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ვინაიდან ეს ცვლილებები პერსპექტიულად ეხება გარიგებებსა თუ სხვა მოვლენებს, რომლებიც დგება პირველად გამოყენების თარიღით ან მას შემდეგ, კომპანიაზე ეს ცვლილებები არ იმოქმედებს მათზე გადასვლის თარიღისთვის.

ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში: „მასალის განმარტება“

2018 წლის ოქტომბერში ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ბასს 8-ში „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, რათა „მასალის“ განმარტება სხვადასხვა სტანდარტში შესაბამისობაში მოეყვანა და განმარტების გარკვეული ასპექტები დაეზუსტებინა. ახალი განმარტების მიხედვით, „ინფორმაცია წარმოადგენს მასალას, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მისი გამოტოვება, არასწორად წარმოდგენა ან დამალვა გავლენას მოახდენს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ისინი იღებენ კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ ფინანსური ინფორმაციის შემცველ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით“.

მასალის განმარტებაში შესული ცვლილებები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება: ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-სა და ფასს 7-ში

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორების ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-სა და ფასს 7-ში გულისხმობს რამდენიმე შედავას, რომელიც ვრცელდება ჰეჯირების ყველა იმ ურთიერთობაზე, რომლებზეც პირდაპირ მოქმედებს საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება. ჰეჯირების ურთიერთობებზე ეს შესწორება მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამო წარმოიქმნება განუსაზღვრელობა ჰეჯირების ობიექტის ან ჰეჯირების ინსტრუმენტის საორიენტაციო (ემპირიული) ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადებთან და სიდიდესთან დაკავშირებით. საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორებამ ჰეჯირების ობიექტის ან ჰეჯირების ინსტრუმენტის საორიენტაციო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადებთან და / ან სიდიდესთან დაკავშირებით შეიძლება განაპირობოს განუსაზღვრელობა, არსებული საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის ალტერნატიული, თითქმის ურისკო, საპროცენტო განაკვეთით ჩანაცვლებამდე პერიოდის განმავლობაში. ამან შეიძლება გაურკვევლობა გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა პროგნოზირებული გარიგება მაღალი ალბათობით მოსალოდნელი ან პერსპექტიული შეფასებით, არის თუ არა სავარაუდო, რომ ჰეჯირების ურთიერთობა მაღალეფექტური იქნება.

ცვლილებები ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ საწარმოებს შეუძლიათ მისი ვადაზე ადრე გამოყენება. ცვლილებები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში ბასს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 17 ჩანაცვლებს ფასს 4-ს "სადაზღვევო ხელშეკრულებები" რომელიც გამოიცა 2005 წელს. ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპი საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მისი მოქმედების არეალში არ შედის გარკვეული გამონაკლისები. ფასს 17-ის ზოგადი მიზანია სააღრიცხვო მოდელის შექმნა სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომელიც უფრო სასარგებლო და თანმიმდევრული იქნება მზღვევებისთვის. ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებისგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ყველა შესაბამის ასპექტს მოიცავს. ფასს 17 წარმოადგენს ზოგად მოდელს, რომელსაც ახლავს:

- ისეთი ხელშეკრულებების სპეციფიკის გათვალისწინება, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები (ცვალებადი გასამრჯელოს მიდგომა);
- გამარტივებული მიდგომა (პრემიების განაწილების მიდგომა), ძირითადად, მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის.

ფასს 17 ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. ჯგუფი გააგრძელებს ფასს 17-ის პოტენციური გავლენის შეფასებას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო მომსახურების ვადას და მასთან დაკავშირებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს საკუთარი ძირითადი საშუალებებისა და განსაზღვრული ვადის არამატერიალური აქტივებისათვის. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური სიახლეების ან სხვა მოვლენების შედეგად. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები ნაკლებია, ვიდრე ადრე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ჩამოიწერება ტექნიკურად მოძველებული ან არა-სტრატეგიული აქტივები, რომლებიც მიტოვებულია ან გაიყიდა.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა და სხვა განუსაზღვრელი ვადის არამატერიალური აქტივებისა

კომპანია აფასებს არაფინანსური აქტივების გაუფასურებას, გარდა გუდვილისა და სხვა განუსაზღვრელი ვადის არამატერიალური აქტივებისგან, თითოეული საანგარიშო თარიღისათვის კომპანიისთვის სპეციფიკური პირობების და კონკრეტული აქტივის შეფასებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფასურება. თუ არსებობს გაუფასურების ზარალი, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი თანხა. ეს მოიცავს სამართლიანი ღირებულების შემცირებას ხარჯების ან გამოყენების ღირებულების გამოთვლებით, რომელიც მოიცავს უამრავ საკვანძო შეფასებას და ვარაუდებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოითხოვს შეფასებებს და მსჯელობებს. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხანგრძლივობაზე, დებიტორები დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით და ივარაუდება, რომ თითოეული ჯგუფისთვის დგინდება საკრედიტო ზარალის საერთო მოსალოდნელი მაჩვენებელი. ეს ვარაუდები მოიცავს ბოლოდროინდელ გამოცდილებას და დებიტორული მოთხოვნების ანაზღაურების მაჩვენებლებს.

2.2. სააღრიცხო პოლიტიკა

შემოსავლები

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება, მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს საქონელზე გადასცემს კონტროლს საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

პროდუქციის ხარჯები მოიცავს ყურძნის როგორც ნედლეულის ხარჯს, ყურძნისგან ღვინის წარმოების საოპერაციო დანახარჯებს, შესაფუთი მასალების ხარჯს, წარმოების პროცესში ჩართული თანამშრომლების პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას და სხვა საოპერაციო ხარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება

საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი;
- კომპიუტერები, ავეჯი და სხვა 4-20 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 5-20 წელი;

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

კომპანიის არამატერიალური აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო საექსპლუატაციო ვადებიდან ძირითად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამული უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზებულია მათი შემენის და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე.

განვითარების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კომპანიის მიერ კონტროლირებულ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მზარდი ეკონომიკური სარგებელის შემოძენა, რომელიც აჭარბებს ხარჯებს. კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ჯგუფში შემავალი პერსონალის ხარჯებს და შესაბამის ზედნაღებ ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება მათი გაწევის მიხედვით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში. სასარგებლო გამოყენების ვადები კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფისა და ლიცენზიებისთვის შეადგენს 2-დან 10 წლამდე პერიოდებს.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, სარგო, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი (როგორცაა ჯანდაცვის მომსახურებები და საბავშვო ბაღები) დაირიცხება წლის განმავლობაში, რომელშიც გაწეულია დაკავშირებული მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანია არ გაწევს ხარჯებს საპენსიო ან სხვა ანაზღაურებას შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ თავისი თანამშრომლებისთვის.

კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისას, კომპანიის ვალდებულება შესრულებულად ითვლება საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების მომენტში, რადგან თვლიან, რომ ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი ზემოთაღნიშნულ საქონელზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა მოითხოვს შეფასებას და მსჯელობას. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომელიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე და აკეთებს ვარაუდს, განისაზღვროს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო

ზარალის განაკვეთი თითოეული ჯგუფისათვის. ეს ვარაუდები ეფუძნება ბოლოდროინდელი გაყიდვების და ისტორიულ გამოცდილებებს.

მარაგების გაუფასურება. მარაგების გაუფასურების ანარიცხის შეფასება საჭიროებს შეფასებას და მსჯელობას. ანარიცხის დონის შეფასება ხდება იმ ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილების, მარაგების დამკველების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს მარაგების ფასის განსაზღვრაზე.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა. კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვლილება და ამორტიზაციის ოდენობა გაიზრდება როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

საიჯარო ვადა. საიჯარო ვადა მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც აქტივის გამოყენების უფლების, ისე საიჯარო ვალდებულებების გაზომვაში.

მსჯელობები ხორციელდება იმის დასადგენად, არის თუ არა გონივრული რწმუნება, რომ გამოყენებული იქნება საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების ან ძირითადი აქტივის შემენის ოფციონი, ან არ იქნება გამოყენებული საიჯარო ხელშეკრულების შეჩერების ვარიანტი, საიჯარო ვადაში შესატანი პერიოდების დადგენისას. საიჯარო ვადის დადგენისას, ყველა ფაქტი და გარემოება, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის, ან შეწყვეტის ოფციონის გამოყენებისათვის, განიხილება იჯარის დაწყების დღეს. განხილული ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს აქტივის მნიშვნელობას კომპანიის საქმიანობისთვის; პირობების შედარება არსებულ საბაზრო განაკვეთებთან; მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრება; უკვე არსებული იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა; ხარჯები და აქტივის ჩანაცვლების მოშლა. კომპანია აფასებს, გონივრულია თუ არა გაგრძელების ოპციონის გამოყენება, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენება, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი - თუ საპროცენტო განაკვეთი საიჯარო პირობებში მარტივად ვერ განისაზღვრება, ნაგულისხმევი სასესხო განაკვეთის დაანგარიშება ხდება მომავალი საიჯარო გადასახადების დისკონტირებით, რომ მოხდეს საიჯარო ვალდებულების ამჟამინდელი ღირებულების განსაზღვრა იჯარის დაწყების მომენტში. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რასაც კომპანია აფასებს, რომ მას მესამე მხარის გადახდა მოუწევს, სესხის მისაღებად საჭირო სახსრების მისაღებად საჭირო აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად, მსგავსი პირობებით, უსაფრთხოებით და ეკონომიკური გარემოთი. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რაც კომპანიის შეფასებით, მას მესამე მხარისთვის უნდა გადაეხადა მესამე მხარისგან სესხის მიღების შემთხვევაში რომ მიეღო მსგავსი აქტივი გამოყენების უფლებით, მსგავს პირობებში და ეკონომიკური გარემოში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	360 დღეზე მეტი
რეზერვის განაკვეთი	-	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირებულია თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

	\$	€
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2.82	3.16
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2.53	2.99

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კაპიტალი

ფულადი შენატანი საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი იზრდება არაფულადი შენატანის სახით, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

4. შემოსავლები პროდუქციის რეალიზაციიდან

	2019	2018
	ლარი	ლარი
ექსპორტზე რეალიზაციიდან შემოსავლები	26,022,988	21,631,577
ჩათვლის უფლებით განთავსებული ბრუნვა	9,612	28,801
შემოსავალი რეალიზაციიდან	224,362	1,169,984
სულ	26,256,962	22,830,362

5. გაწეული ხარჯი

	2019	2018
	ლარი	ლარი
ექსპორტზე გატანილი პროდუქტის თვითღირებულება	11,208,002	8,677,258
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	145,690	885,074
ცვეთის ხარჯი	499,902	345,523
სულ	11,853,594	9,907,855

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
	ლარი	ლარი
შრომის ანაზღაურება	646,978	576,333
გადაზიდვის ხარჯი	1,650,572	1,110,678
საშუამავლო ხარჯი	424,494	57,061
სხვა საერთო ხარჯი	951,996	939,967
სულ	3,674,040	2,684,039

7. სხვა შემოსავლები/ხარჯები

	2019	2018
	ლარი	ლარი
შემოსავლები		
DFTA ბონუსი	148,587	220,772
APMA ბონუსი	150,000	-
სხვა	1,504	87,634
სულ	300,091	308,406
ხარჯები		
ქველმოქმედების ხარჯი	(100,000)	-
სხვა	(500)	-

შპს „ყვარლის სარდაფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

სულ	(100,500)	-
წმინდა სხვაობა	199,591	308,406

შპს „ყვარლის სარდაფი“

ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

8 ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ავტომობილები, კომპიუტერები, ავაჯი და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
<u>საბალანსო ღირებულება</u>					
იანვარი 1, 2018	1,146,639	4,178,709	647,745	262,960	6,236,053
შეძენა	273,232	2,154,436	64,047	56,274	2,547,989
გასვლა	-	(27,114)	-	(265,859)	(292,973)
დეკემბერი 31, 2018	1,419,871	6,306,031	711,792	53,375	8,491,069
შეძენა	1,347,885	1,594,087	532,973	41,721	3,516,666
გასვლა	-	(36,832)	(6,050)	-	(42,882)
დეკემბერი 31, 2019	2,767,756	7,863,286	1,238,715	95,096	11,964,853
<u>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</u>					
იანვარი 1, 2018	91,836	586,220	109,596	-	787,652
ცვეთა წლის მანძილზე	46,970	337,476	47,455	-	431,901
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	(17,395)	-	-	(17,395)
დეკემბერი 31, 2018	138,806	906,301	157,051	0	1,202,158
ცვეთა წლის მანძილზე	52,501	489,897	63,772	0	606,170
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	(21,201)	(5,142)	0	(26,343)
დეკემბერი 31, 2019	191,307	1,374,997	215,681	0	1,781,985
<u>ნარჩენი ღირებულება</u>					
იანვარი 1, 2018	1,054,803	3,592,489	538,149	262,960	5,448,401
დეკემბერი 31, 2018	1,281,065	5,399,730	554,741	53,375	7,288,911
დეკემბერი 31, 2019	2,576,449	6,488,289	1,023,034	95,096	10,182,867

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კომპანიის მიწის ნაკვეთები გამოყენებულია სესხის უზრუნველყოფად რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 71,692 ლარს (შენიშვნა 16).

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019 ლარი	31 დეკემბერი 2018 ლარი
ნედლეული და მასალები	5,775,530	6,519,285
ბოთლის ღვინის მასალები	2119053	1,392,114
მზა პროდუქცია	164349	297,193
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	41,233	54,355
სულ	8,100,165	8,262,947

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები არ არის დაგირავებული.

10. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2019 ლარი	31 დეკემბერი 2018 ლარი
წინასწარ გადახდები	1,027,371	846,680
სულ	1,027,371	846,680

11 დებიტორული მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11,649,086	5,083,237
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1,875,282)	(590,558)
სულ	9,773,804	4,492,679

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილებების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	
დარეზერვების პროცენტულობა	-	2%	5%	25%	50%	100%	Total
დებიტორული მოთხოვნები	8,729,693	123,039	256,820	127,785	1,167,430	1,244,319	11,649,086
საექვო მოთხოვნების რეზერვი	-	(2,461)	(12,841)	(31,946)	(583,715)	(1,244,319)	(1,875,282)
31 დეკემბერი 2019	8,729,693	120,578	243,979	95,839	583,715	-	9,773,804

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

არ არის მატერიალური სხვაობა დებიტორული მოთხოვნების საბალანსო ღირებულებას და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული	4,124	2,270
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	58,991	54,319
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7,649,193	6,825,497
სულ	7,712,307	6,882,086

არ არის მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებას და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

13 კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 50,000 ლარს.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	50,000	50,000
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,000	50,000
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,000	50,000

14 კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
	ლარი	ლარი
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1,857,390	1,355,327
სულ	1,857,390	1,355,327

არ არის მატერიალური სხვაობა კრედიტორულ დავალიანების საბალანსო და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

15 კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)

	ფული და ფულის ექვივალენტები ლარი	დებიტორული დავალიანება ლარი	კრედიტორული დავალიანება ლარი	სულ ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	997,375	211,312	321,966	1,530,653
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(192,847)	(30,831)	(26,803)	(250,481)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) 2019 წლის განმავლობაში	804,528	180,481	295,163	1,280,172

	ფული და ფულის ექვივალენტები ლარი	დებიტორული დავალიანება ლარი	კრედიტორული დავალიანება ლარი	სულ ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	514,932	109,098	166,227	790,257
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(228,685)	(36,560)	(31,784)	(297,029)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) 2018 წლის განმავლობაში	286,248	72,537	134,443	493,228

16 მიღებული სესხები

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
მიღებული სესხები	177,197	929,346
სულ	177,197	929,346

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს მიღებული სესხის მიმდინარე ნაწილს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გამსესხებელი	სესხის ნომერი	ხელშეკრულების თარიღი	ვადა	პროცენტი	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
სს საქართველოს ბანკი	#4326313	31-03-17	31-03-20	11.00%	103,197	591,346
სს საქართველოს ბანკი	#5327058	28-02-18	28-02-21	12.30%	74,000	338,000
სულ					177,197	929,346

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ინფორმაცია სესხის უზრუნველყოფის შესახებ იხილეთ მე-8 განმარტებით შენიშვნაში.

კომპანიის სასესხო ვალდებულებები უზრუნველყოფილია თავისივე ბალანსზე არსებული მიწითა და ანაბრით, რომელთა ჯამური ღირებულება შესაბამისად შეადგენს 71,692 ლარსა და 220 000 დოლარს.

არ არის მატერიალური სხვაობა სესხის საბალანსო და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

17 მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 0 .

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

18 სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2019 ლარი	31 დეკემბერი, 2018 ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	7,708,184	6,879,816
დებიტორული დავალიანებები	9,773,804	4,492,679
სულ	17,481,988	11,372,495
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	177,197	929,346
კრედიტორული დავალიანებები	1,857,390	1,355,327
სულ	2,034,587	2,284,673

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

რეგულარულად გადაიხდებოდა მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

	2019 ლარი	2018 ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	7,708,184	6,879,816
დებიტორული დავალიანებები	9,773,804	4,492,679
სულ	17,481,988	11,372,495

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.

I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარაჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

შპს „ევარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2018 წლის დასაწყისში ასევე 2018 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილბულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილბული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	7,708,184	-	-	7,708,184
დებიტორული დავალიანება	9,773,804	-	-	9,773,804
აქტივები 31.12.2019	17,481,988	-	-	17,481,988
კრედიტორული დავალიანება	1,857,390	-	-	1,857,390
მიღებული სესხები	103,197	74,000	-	177,197
ვალდებულებები 31.12.2019	1,960,587	74,000	-	2,034,587
ბალანსი 31.12.2019	15,521,401	(74,000)	-	15,447,401

შპს „ევარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	6,882,086	-	-	6,882,086
დებიტორული დავალიანება	4,049,166	-	-	4,049,166
აქტივები 31.12.2018	10,931,252	-	-	10,931,252
კრედიტორული დავალიანება	(1,610,639)	-	-	(1,610,639)
მიღებული სესხები	-	(929,346)	-	(929,346)
ვალდებულებები 31.12.2018	(1,610,639)	(929,346)	-	(2,539,985)
ბალანსი 31.12.2018	9,320,613	(929,346)		8,391,267

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

კომპანია მიღებულ სესხებს ცვალებადი განაკვეთით არ აღრიცხავს, შესაბამისად, ანგარიშგების თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას არ ექნებოდა გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური აქტივები დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული მოთხოვნები	ფული და ფულის ექვივალენტები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
ევრო	177,177	10,793	187,970
დოლარი	9,090,040	7,568,636	16,658,676
2019 წლის 31 დეკემბერი	9,267,217	7,579,429	16,846,646
ევრო	15,761	17,377	33,138
დოლარი	3,937,282	6,808,269	10,745,551
2018 წლის 31 დეკემბერი	3,953,043	6,825,646	10,778,689

ფინანსური ვალდებულებები დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	მიღებული სესხები	კრედიტორულ ი დავალიანება	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
ევრო	-	130,899	130,899
დოლარი	-	4,163,061	4,163,061
2019 წლის 31 დეკემბერი	-	4,293,960	4,293,960
ევრო	-	141,453	141,453
დოლარი	-	1,942,689	1,942,689
2018 წლის 31 დეკემბერი	-	2,084,142	2,084,142

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება დოლარის მიმართ, შეამცირებს / გაზრდის მოგებას 2019 წლისათვის 1,249,562 ლარით (2018: 880,286 ლარით). ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება ევროს მიმართ, შეამცირებს/ გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 2019 წლისათვის 5,707 ლარით (2018 წლისათვის (10,832) ლარით).

შპს „ყვარლის სარდაფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც დადგენილია IAS 24 „დაკავშირებული მხარის გამჟღავნება“, წარმოადგენს:

კომპანიას აქციონერები არიან ონისე ღვალაძე - 45% და ნინო ბარათაშვილი - 55%.

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

	2019 ლარი	2018 ლარი
სახელფასო ანაზღაურება	73,500	72,000
სულ	73,500	72,000

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ, რომ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელი შენელება ხდება კორონავირუსის პანდემიის შედეგად და მის შედეგად მიღებული ფინანსური ზემოქმედება სუბიექტის სამომავლო პერსპექტივებზე.

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოში ადამიანთა ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოჯისტიკური ჯაჭვების წარმოქმნას და იწვევს გარე და საშინაო მოთხოვნილების შემცირებას, ამასთან, ზრდის რისკის ავერსიას და გაურკვევლობას მომავლის შესახებ.

მენეჯმენტი აგრძელებს COVID-19-ის პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და იღებს ყველა ზომას ნებისმიერი მოსალოდნელი შედეგის შესამსუბუქებლად.

მენეჯმენტი ვარაუდობს, ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის ზომიერი დონის გამო რომ კომპანიის ფუნქციონირებადობას საფრთხე არ შეექმნება.

2020 წლის 20 იანვარს საქართველოს ბანკთან და ააიპ სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება 1,500,000 ლარზე ვენახების გასაშენებლად.